ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

11 (9998) • 11 marti • 2013 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

ძვირფასო ჯვრისწყაროელებო!

გილოცავთ დედისა და ქალთა დღესასწაულს, ბედნიერებას, ჯანმრთელობას და შვილთა სიმხიარულეს გისურვებთ. განსაკუთრებით მინდა ის სოციალურად დაუცველი ქალბატონები და მარტოშვილიანი დედები გავამხნევო, რომელთაც დღეს ყველაზე მეტად უჭირთ და ჩვენგან მხარდაჭერას ელიან. ასევე ის გმირი დედები, რომლებმაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტსა და მთელ საქართველოს სამშობლოსათვის მებრძოლი ვაჟკაცები აღზარდეს. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ მათი ყოფა უკეთესობისაკენ შეიცვალოს. ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტიც სწორედ სოციალური პრობლემების მაქსიმალურად უზრუნველყოფა და ამ ადამიანების გვერდში დგომაა. ჩვენ ეს შეგვიძლია.

უფალი გფარავდეთ!

კოტე შარაშენიძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის
მოვალეობის შემსრულებელი

საზოგადოება ცვლილებების დაჩქარებას ითხოვს

ნინო ნიკოლაიშვილი

8 მარტს დეპუტატის ბიუროს ოფისში ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი ზვიად კვაჭანტირაძე მრავალშვილიან დედებს შეხვდა და საჩუქრები გადასცა, შემდეგ კი ოზურგეთის ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის დარბაზში ახლადშექმნილ დარბაზის წევრებთან გამართა შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდა პარლამენტის დეპუტატი ელისო ჩაფიძე. ზვიად კვაჭანტირაძემ ისაუბრა იმ ცვლილებებზე, რომელიც საკრებულოს დეპუტატების უბნების მიხედვით არჩევასა და ქალაქის მერის პირდაპირი წესით არჩევას გულისხმობს. ასევე გააჟღერა ახალი ინიციატივა, ოზურგეთის საზოგადოების მხარდაჭერის შემთხვევაში, ქალაქში დაიდგას წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის და კომპოზიტორ ვიქტორ დოლიძის ძეგლები. მისივე თქმით, ძეგლთა მშენებლობისთვის არ დაიხარჯება ბიუჯეტის თანხა და მისი დაფინანსება ბიზნესსექტორის დახმარებით მოხდება. – ფონდ „ტასოსთან“ ერთად ვმუშაობთ კანონ-პროექტზე, რომელიც ეხება ფილანტროფიის, ქველმოქმედების და სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებს.

ელისო ჩაფიძის გამოსვლა ქვეყანაში არსებულ მძიმე მემკვიდრეობას შეეხო. ისაუბრა მოვალეობებზე. წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის ღირსებები და დამსახურებები გაიხსენა, მომხრეებს ერთგული ჯარისკაცები უწოდა და წინა პერიოდებთან შედარებით ქვეყნის უკეთეს მდგომარეობაზე გამახვილა ყურადღება. მისივე თქმით, რეგიონებს დღეს კარგი მაჟორიტარი დეპუტატები ჰყავთ, რომლებიც ბევრი სასიკეთო საქმის მკეთებელნი არიან. – როცა ტყიბულში „ქართული ოცნების“ ოფისი გავხსენი, ჩემთან ერთად იყო ნაზამთრალი, ფერმკრთალი ადამიანები. მაშინ ვფიქრე, იქნებ ერთად გავიდეთ ფონს მეთქი, ვფიქრობ, ახლა უკეთესი მდგომარეობაა.

შემდეგ შეხვედრა კითხვა პასუხის რეჟიმში გაიმართა. აქტიური იყო დარბაზიც. კონჭკათელმა ნარი მუჯირმა უკმაყოფილება გამოთქვა ცვლილებების ნელი ტემპით განხორციელების გამო: – მივესალმებით, რომ რაღაც ცვლილებები განხორციელდა, მაგრამ ჩვენ სხვა მოლოდინი გვქონდა. წარმოიდგინეთ ის ადამიანები, რომლებმაც 9 წლის განმავლობაში ქვეყანა დააქციეს და სანტიმეტრობით გაყიდეს, დღეს პოლიტიკურ ზეწოლაზე საუბრობენ და აქეთ გვასწავლიან ჭკუას. არადა მათ რომ გაემარჯვათ, 5 წუთს არ მოგვცემდნენ, თავი ბუჩქებში რომ შეგვეფარებინა. გვაღიზიანებს მათი ირონია და გესლი. ბევრი პრობლემაა ჩემს სოფელში. თუ ასეთი ტემპით გაგრძელდა პროცესები, ვფიქრობ ძალიან გაგვიჭირდება.

შეხვედრაზე ქობულეთელი ფრიდონ დევრიშაძე იმყოფებოდა სტუმრად. იგი პოლიტპატიმარი იყო და წინა მთავრობისგან მუდმივი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. მისი თქმით, ასეთი საქართველოში 90 პატიმარია, რომელთაგან მხოლოდ მას შეეხო ამინისტია.

ფრიდონ დევრიშაძე: – 2007 წელში დამიჭირეს. მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი ვიყავი. ქობულეთში ვხელმძღვანელობდი აღორძინების კავშირს. ახლობელმა დამირეკა და სასტუმროში მივედი. იქ ნარკოტიკი ჩამიდეს. თან დამაბრალეს ხალხის მოქრთამვა, ჩოლოქის ხიდის ჩასაკეტად.

▶▶▶ გვ-2

ძვირფასო ჯვრისწყაროელებო!

გილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს! თქვენ ხომ გაზაფხულივით აღამაზებთ და ამშვენებთ ჩვენს ცხოვრებას, გვმატებთ სიცოცხლის ხალისსა და ბრძოლის უნარს. ქართველი ქალი მედამ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის წინსვლასა და წარმატებაში. თქვენ უნდა აღუზარდოთ ქვეყანას მომავალი თაობა. თაობა, რომლითაც იამაყებს საქართველო.

გისურვებთ გეცხოვროთ გაერთიანებულ, გაბრნყინებულ საქართველოში, სადაც თქვენი ღვაწლი მედამ დაფასებული იქნება.

ულრმესი პატივისცემით
ალეკო მამეშვილი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

„ბახვი-3“-ის მშენებლობა ბოლო ფაზაშია, ადგილობრივი მოსახლეობა კი ინფორმაციას არ ფლობს

გაზეთი „ალიონი“

2012 წლის 27 სექტემბერს მეწყერმა „ბახვი-3“-ის ჰიდროელექტროსადგურის მთავარი შენობა თითქმის მწყობრიდან გამოიყვანა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში მდ. ბახვისწყალზე 9.8 მეგავატი სიმძლავრის „ბახვი-3“-ის მშენებლობის და და ექსპლოატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა უნდა გამართულიყო.

▶▶▶ გვ-2

ლევან ნინიძე მთისწინა სოფლების წყალმომარაგების საკითხის მოგვარებას პირველ ეტაპზე ითხოვს

ნუგზარ ასათიანი

7 მარტს ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის მორიგი სხდომა გაიმართა. დარბაზის წევრების ამჟამინდელი მსჯელობის საგანი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტები იყო.

▶▶▶ გვ-2

7 დღის ამინდის პროგნოზი

11 მარტი	12 მარტი	13 მარტი	14 მარტი	15 მარტი	16 მარტი	17 მარტი
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
ძლიერი წვიმა +12+18	წვიმა, +13+19	წვიმა +13+19	მზე, ღრუბელი +15+22	მზე, ღრუბელი +16+25	ღრუბელი +13+19	მზე, ღრუბელი +8+17

ძვირფასო ქალებო! გილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს!



გილოცავთ გაზაფხულის შემომრძანებას —ქალთა და დედის დღეს. გისურვებთ მედნიერებას, შვილთა სიმრავლეს, საზოგადოებრივ აქტივობას, ლამაზი ოცნებების ასდენას და ისეთ საქართველოში ცხოვრებას, სადაც თქვენი შრომა და ღვაწლი სრულფასოვნად იქნება დაფასებული!

დავით დარჩია,

„ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე.

მოგესალმებით და უდრმესი პატივისცემით მოგილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს. ყოველთვის დიდი იყო ქალის როლი ქვეყნის აღმშენებლობაში. თქვენ დირსეულად იხდიდით და იხდით ამ რთულსა და საპატიო ვალს ოჯახის, ქვეყნის წინაშე. ჯანმრთელობას, ბედნიერ მომავალს გისურვებთ ჩვენი ერის საკეთილდღეოდ

დიმიტრი კვერღელიძე,

„თავისუფალი დემოკრატების“ ოზურგეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი

ოქროვ ჯაროს ჭაბოლიდს ლიდი ციოვნოლი, შვილთვ ციმრავლოთ ყოვილოიუნდ ოვლი ლიდები ბიდნიერები. წარმატებები გაბოლოთ ცხოგვლოებრივ ცხემიანობაში, ლოვმზ ლა გამოლიანებოლ ცხანრთოვილოში გიცხოვრეთ!

მიხეილ გოგოტიშვილი,

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე

„ბახვი-3“-ის მშენებლობა ბოლო ფაზაშია, ადგილობრივი მოსახლეობა კი ინფორმაციას არ ფლობს

განხილვა შედგა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ შეხვედრის შესახებ წინასწარ იყო დაანონსებული, ოზურგეთის საზოგადოებამ ინდიფერენტულობა გამოიჩინა და დარბაზში მხოლოდ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, რამდენიმე საჯარო მოხელე და ჟურნალისტები იყვნენ.

„ალიონის“ რედაქცია დაინტერესდა, იცოდა თუ არა შეხვედრის შესახებ მთისპირლებმა. სოფელში თოვლი იდო, მაგრამ ორი სამარშრუტო მიკროავტობუსი დღეს ჩვეულებრივად იყო რეისში. დღის განმავლობაში ელექტროენერგია არ მიწოდებოდა სოფელს.

მთისპირის საბავშო ბაღის გამგე ლეილა ვაშალომიძემ და ბაღის თანამშრომლებმა გვითხრეს, რომ „ბახვი ჰიდრეო პაუერის“ხელმძღვანელებთან შეხვედრის შესახებ არაფერი იცოდნენ, რადგან სოფელი ინფორმაციულ ვაკუუმშია. ივივე გვიპასუხეს ამ სოფლის სხვა მცხოვრებლებმა...

ოზურგეთში გამართულ განხილვაზე პროექტის შესახებ ისაუბრეს ინვესტორის წარმომადგენლებმა, „ბახვი ჰიდრეო პაუერის“დირექტორმა ვახტანგ ღონღაძემ, ჯულუხი ახვლედიანმა და გიორგი ბაჟალავამ.

მათ განაცხადეს, რომ მდ. ბახვისწყალზე 6,5 მეგტ. სიმძლავრის „ბახვი ჰესი 3“-ის მშენებლობის და ექსპლოატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შესახებ ანგარიში თვდაპირველად შემუშავდა 2010 წელს. აღნიშნულ კვლევაზე დაყრდნობით, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ შპს „ბახვი ჰიდრეო პაუერის“სახელზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გასცა.

შესაბამისი პროცედურების გავლის შემდგომ შპს „ბახვი ჰიდრეო პაუერ“-მა ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო 2011 წლიდან. თუმცა დეტალური კვლევის შედეგად თავდაპირველ პროექტში შევიდა გარკვეული ცვლილებები. კერძოდ, შეიცვალა კაშხლის სიმაღლე, წყლის ხარჯი, სადერივაციო არხისა და სადაწნეო მილსადენის სიგრძეები, ჰიდროაგრეგატების რაოდენობა და ა.შ. შესაბამისად ჰესის დადგმული სიმძლავრე გაიზარდა 9,8 მეგტ-მდე. ახალი ვერსიის მომზადებასთან დაკავშირებით, გაფორმდა ხელშეკრულება შპს „გამა კონსალტინგთან.“

განხილვაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“თავმჯდომარე ლევან ნინიძემ დასვა შეკითხვა, თუ რამდენად მიზანშეწონილია ასეთი ჰესის მშენებლობა ამ რეგიონში, რა გავლენას მოახდენს იგი ბუნებაზე და აღნიშნული ჰესის აშენების შემდეგ რა შეღავათით ისარგებლებს ადგილობრივი მოსახლეობა.

შპს ბახვი ჰიდრეო პაუერის“ წარმომადგენლების თქმით, თუკი ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია ჩაერთვება ერთიან ქსელში და მარეგულირებელი კომისია კვლავ შეამცირებს ელექტრონერგიის ტარიფს, ეს ყველაზე აისახება.

განხილვაზე თავისი მოსაზრება მუნიციპალიტეტის მთავარმა სპეციალისტმა გარემოს დაცვის საკითხებში გურამ ბერძენიშვილმაც გამოთქვა. შეხვედრის შემდეგ მან გაზეთ „ალიონთან“განაცხადა, რომ განხილვა ზოგადი

ხასიათის იყო. განხილვაზე არ თქმულა, რა სახის ზიანი მიადგა ბუნებას, როგორია ექსპერტის დასკვნები, თუ როგორ უნდა აღმოიფხვრას ახალ პროექტში ძველი პრობლემები, რომ მოიჭრა ხეები, რამდენად შეიცვლება მდინარის მახასიათებლები და ა.შ. ძველი პროექტი 2 აგრეგატის ამუშავებას ითვალისწინებდა, ხოლო ამჟამად 3 უნდა იყოს. არ თქმულა ვინ იყო დამნაშავე 2012 წლის სექტემბერს მომხდარი მეწყერის გამო მიყენებულ ზარალზე და ა.შ.

ვინაიდან შეხვედრა ზოგადი ხასიათის იყო, მიუხედავად ცუდი ამინდისა, სოფ. მთისპირში, უკანავას უბანში „ბახვი 3“-ის მშენებლობა მოვინახულეთ. როგორც იცით, 2012 წლის 27 სექტემბერს ჰესის მთავარი ნაგებობის გვერდით მთის ქანები ჩამოწვა და მეწყერმა მწყობრიდან გამოიყვანა იგი.

თამაზ ტოგონაძე, გეოდეზისტი:–27 სექტემბერს მეწყერმა მთავარი შენობის 80 პროცენტი დაზიანა. ჩვენ ამჟამად დიდი მოცულობის სამუშაოები ჩავატარეთ და კლდოვან ქანებამდე დავედით. ყველა დამატებითი სამუშაო ჩავატარეთ იმისთვის, რომ მომავალში მეწყერი გამორიცხოს. ამ შენობის 80 პროცენტი დავშალეთ და ხელახლა შენდება.

სანლი კიზილაი, თურქი მენეჯერი:–2012 წლის 27 სექტემბერს მომხდარი მეწყერის შედეგად, კომპანიას 1 მილიონ დოლარზე მეტი ზარალი მიადგა. ხელახლა დარჩა ასაშენებელი მთავარი შენობის უმეტესი ნაწილი. შემდეგ, გადაწყდა, რომ დაედგათ არა ორი, არამედ სამი გენერატორი. ამჟამად „ბახვი 3“-ის ძირითადი სამუშაოების 95 პროცენტი დასრულებულია. ჰესიდან 3 კილომეტრის ზევით, ზღვის დონიდან 500 მეტრ სიმაღლეზე მოწყობილია 30X70 კვ. მეტრი მოცულობის წყლის შემკრები აუზი, დამბა, საიდანაც ჰესი სადაწნეო მილსადენების საშუალებით მიიღებს წყალს. დარჩენილი სამუშაოები ზაფხულში დასრულდება და სავარაუდოდ სექტემბერში ჰესი ამოქმედდება.

ჰესის ამოქმედებამდე ჯერ ახალი პროექტი უნდა დამტკიცდეს. სავარაუდოდ ოზურგეთში კვლავ გაიმართება საჯარო განხილა.

ლევან ნინიძე მთისწინა სოფლების წყალმომარაგების საკითხის მოგვარებას პირველ ეტაპზე ითხოვს

პროექტების გარშემო ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე გიორგი ლურჯუმელიძემ.

საკრებულოს სხდომაზე განხილვის შემდეგ, პროექტები საქართველოს რეგიონალური განვითარების ინფრასტრუქტურის სამინისტროში უნდა წარადგინონ.

ეს პროექტებია: დვაბზუ-ცხემლისხიდი-ვაკოჯვრის ადგილობრივი მნიშვნელობის გზის ცხემლისხიდი-ვაკოჯვრის 7,1 კმ. სიგრძის მონაკვეთის რეაბილიტაცია (2 485 000 ლარი);

სოფ. ოზურგეთი-მელექედური-დვაბზუს ადგილობრივი მნიშვნელობის 5,6 კმ. გზის რეაბილიტაცია (1 680 000 ლარი); აქვე მოხდება ლესელიძის ქუჩიდან სოფ. ოზურგეთთან დამაკავშირებელი 600 მ. გზის რეაბილიტაცია (210 000 ლარი);

სოფ. მერიაში მდ. ნატანებზე 150 მ. სიგრძის ხიდის რეაბილიტაცია (2 999 560 ლარი);

ლიხაური-აჭის ადგილობრივი მნიშვნელობის 3,3 კმ საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია (1 555 000 ლარი);

დაბა ურეკში 600 მეტრი სიგრძის ბულვარის მოწყობა (1 100 000 ლარი);

სოფ. ოზურგეთის კულტურის სახლის რეაბილიტაცია (2 500 000 ლარი);

სოფ. ოზურგეთის კულტურის სახლის რეაბილიტაციის თემაზე სხდომის წამყვანმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ მექვაბიშვილმა განაცხადა, რომ ასეთი ღირებული შენობა უნდა აღდგეს და მიუხედავად იმისა, რომ იგი ქალაქგარეთ მდებარეობს, სრულად გადავა იქ კულტურის ცენტრი და შესაძლოა სხვა კულტურული დაწესებულებები. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს აქ ტრანსპორტის საკითხს და ოზურგეთს მნიშვნელოვანი კულტურის ცენტრი შეემატება.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ლევან ნინიძემ განაცხადა:–კულტურის სფეროს კარგად ვიცნობ, ათეული წლებია ანსამბლ „შვიდკაცას“წევრი ვარ, მაგრამ მაინტერესებს ამ ეტაპზე ეს საკითხია უფრო მნიშვნელოვანი თუ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მთისწინა სოფლების მთისპირი-ასკანა-მზიანი-შშვიდობაურის 600 კომლზე მეტი მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფა?

მუნიციპალიტეტის მთავარმა სპეციალისტმა მერაბ წივწივაძემ განმარტა, რომ ეს თემა წყლის კომპანიათან ერთად გაიარეს, და ისინი წყლის ამ რეგიონის წყალმომარაგების რეაბილიტაციას მოსახლეობისათვის მრიცხველების დადგმის გარეშე არ აპირებენ და ეს 3 მილიონ ლარამდე ჯდება.

ლევან ნინიძე შეეპასუხა და დარბაზს განუმარტა, რომ როცა ამ წყლასადენის ქსელის მთლიან რეაბილიტაციაზე იყო საუბარი, რომელიც 1,3 მილიონად შეფასეს. ხომ შესაძლებელია, ამ ეტაპზე ნაწილობრივი რეაბილიტაცია მოხდეს და მხოლოდ 42 წლის წინ ჩადებული წყლის მილები შეიცვალოს? ეს სამუშაოები დაახლოებით 100 ათასი ლარი დაჯდება...

შესაძლოა ეს თემა საკრებულოს სხდომაზეც მწვავე დებატების საგანი გახდეს.

ოზურგეთის დემოკრატიული განვითარების კავშირის თავმჯდომარე ლევან ხინთიბიძემ შავიზღვისპირა სანაპირო ზოლში სისუფთავეზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურმა საჯარიმო სანქციები უნდა გაითვალისწინოს. ოზურგეთის დასუფთავების სამსახურის უფროსმა ვოვა სალუქვაძემ განმარტა, თუ რა სამუშაოებს ატარებს მისი სამსახური საკურორტო სეზონზე ამ ზოლში სისუფთავის დასაცავად და დაეთანხმა ლევან ხინთიბიძეს საჯარიმო სანქციების გატარების აუცილებლობაში.

ლევან ხინთიბიძემ ასევე აღნიშნა, რომ ოზურგეთს არ გააჩნია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა. ოზურგეთში მწვავედ დგას წყლის და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის საკითხი.

ავთანდილ მექვაბიშვილმა განაცხადა, რომ ამ მეტად მნიშვნელოვან თემაზე მუშაობენ, მარტო დავით აღმაშენებლის ქუჩაზე რომ წყლის მარეგულირებელი არხები გაიყვანონ, 4 მილიონი ლარია საჭირო.

სამინისტრო პროექტების წარდგენის მეორე ეტაპს აპრილის ბოლოს გეგმავს და ეს თემა მანამდე უნდა მომზადდეს.

ჯეთიანი სუჰვიღებით და ღრმა პატივისცემით გიღოცავთ გაზაფხულის შემობრძანებას და მშვენიერ დღესასწაულებს, დედისა და ქალთა დღეს.სიცოცხლეზე,სიხარულზე, სიჯეთე და ბედნიერება ერთ მოგაღებოდეთ.

გაზაფხულივით მშვენიერი იყავით მთელი ცხოვრების მანძილზე.

ლევან ნინიძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე.

გულითადად გილოცავთ გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულს— დედის და ქალთა დღეს. გისურვებთ თქვენი ოჯახის, ოჯახის, ქვეყნის აღმშენებლობას, იმედის გამართლებას. მუდამ ღიმილიანი და მედნიერებით აღვსილნი ყოფილიყოთ.

თემურ მოქია,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთობის“ თავმჯდომარე.

ქალთა ლამაზ ლიტანიებს ვულოცავ ცვალებადობაში, გულიანში მცხოვრებ ყველა ქალბატონს, ყველა ცვალებადობის და ყველა ლიტანს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, შვილთა ციმრავლეს, გამთლიანებულ და გაძლიერებულ ქვეყანაში ცხოვრებას!

შალვა თავდიშვილი,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე.

ძვირფასო ქალბატონებო!

გილოცავთ ქალთა დღესასწაულებს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, შვილთა სიმრავლეს, ბედნიერ საქართველოში ცხოვრებას.

ა(ა) იპ „ოზურგეთის დასუფთავების სამსახურის“ თანამშრომლები.



გილოცავთ გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს —დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეს. გისურვებთ უბრალოდ ჯანმრთელობას, შვილთა სიმრავლეს, ბედნიერ ქვეყანაში ცხოვრებას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი.



გილოცავთ გაზაფხულის შემობრძანებას- ქალთა და დედის დღეს. გისურვებთ ბედნიერებას, შვილთა სიმრავლეს, წარმატებებს ცხოვრებაში.

მერაბ მჭავია
საკრებულოს დეპუტატი

რომან ლომაძე: „იაპონიის საელჩოს წარმომადგენლები ჩამოვიდნენ სპეციალურად იმისთვის, რომ შეხვედროდნენ ოზურგეთის ხელისუფლებას"

მარიკა კოძოევი

გურიის რეგიონის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის ბენეფიციარებსა და პედაგოგებს სემინარი ჩაუტარდათ. სემინარის ორგანიზაროტი არასამთავრობო ორგანიზაცია „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის" იყო. სემინარი ჩაატარეს კოალიციის პროექტის მენეჯერმა, თამარ მაღლაკელიძემ, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა, რატი ოინათამიშვილმა, და გამგეობის თავმჯდომარე, გიორგი ძნელაძემ. სემინარის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების გააქტიურება რეგიონებში სამოქალაქო ინტერესებისა და უფლებების დაცვის საკითხებში.

თამარ მაღლაკელიძე: „ჩვენი კოალიცია ახორციელებს USAID-ის მიერ დაფინანსებულ პროექტს „შეზღუდული შესაძლებლობების ადვოკატირება? პროექტის ერთ-ერთი მიმართულებაა დასავლეთ საქართველოს ოთხ რეგიონში აჭარა, გურია, სამეგრელო, იმერეთში ახალგაზრდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების გააქტიურება. მთავარი მიზანია მოახდინონ თავიანთი თავის ადვოკატირება და არა მარტო საკუთარი თავის. ამ მიზნით ვმართავთ შეხვედრებს. დღეს იყო ბოლო შეხვედრა. თითოეული რეგიონიდან შერჩევა ექვსი აქტიური ახალგაზრდა, რომლებიც რეალურად ჩაერთვებიან პროცესებში. გვინდა შევქმნათ ქსელი, რომელშიც ყველა რეგიონი იქნება ჩართული. იქნება კოორდინირებული მუშაობა ინფორმაციების გაცვლა-გავრცელება. დაგეგმილია ერთი ორგანზაციის შერჩევა დასავლეთ საქართველოში, რომელიც გაუწევს კურირებას აღნიშნულ საკითხს.

თამუნა ლურსმანაშვილი: „დღევანდელი ტრენინგი ჩემთვის პირველი არ იყო. გასულ ზაფხულსაც ვიყავი სნაკში ივიე ორგანიზაციის სემინარზე. მაშინ სემინარში უცხოელებიც მონაწილეობდნენ. ეს ტრენინგი ბევრის მომცემი იყო. ვისწავლეთ, როგორ დავიცვათ ჩვენი უფლებები,როგორ ვესაუბროთ ხელისუფლებას,როგორი ურთიერთობა გვქონდეს საზოგადოებასთან, რომ არ ვიყოთ გარიყულები. სემინარის ორგანიზატორებმა გვითხრეს, რომ კიდევ ჩამოვლენ. სემინარზე დავაყენე ინიციატივა, გამოვთქვი სურვილი, რომ ოზურგეთის ეკლესიას გაუკეთდეს პანდუსი, რომ ჩვენისთანა ადამიანებმა შეძლონ მისვლა დამოუკიდებლად, შევძლოთ ღმერთთან მარტო დარჩენა. ვგეგმავ, რომ მივიდე მეუფესთან და ვუთხრა ამის შესახებ."

სემინარი ურეკში იმ სასტუმროში ჩატარდა, რომელიც იაპონიის საელჩოს დაფინანსებით, გურიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრისთვის აშენდა.

სემინარის მეორე დღეს ურეკში იაპონიის საელჩოს წარმომადგენლები ჩავიდნენ,რომლებმაც საკუთარი დაფინანსებული პროექტის შედეგი, უკვე დასრულებული შენობა დაათვალიერეს. ასევე სტუმრობდნენ ორგანიზაციის ოფისს ოზურგეთში, სადაც ადგილობრივ ხელისუფლებას შეხვდნენ.

რომან ლომაძე: „იაპონიის საელჩოს წარმომადგენლები ჩამოვიდნენ სპეციალურად იმისთვის, რომ შეხვედროდნენ ოზურგეთის ხელისუფლებას. შეხვდნენ გამგებელს, , კოტე შარაშენიძეს. ვისაუბრეთ, როგორია ჩვენი და ხელისუფლების ურთიერთობა. გაეცნენ ჩვენ სამომავლო გეგმებს. ბატონმა კოტემ მათ უთხრა,რომ დიდი ხანია ვთანამშრომლობთ და ეს თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება. აინტერესებთ პროექტი, რომელიც დაგვიფინანსეს, რამდენად სიცოცხლისუნარიანი იქნება და ამაში რა წვლილს შეიტანს რაიონის ხელმძღვანელობა."

8 მარტს კი გურიის რეგიონის შშმ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრში ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება მოეწყო. ბავშვებმა ცეკვით,სიმღერით და ლექსით მიულოცეს ქალბატონებს დღესასწაული.

თენგო ჭიტაძე: ჩვენი ორგანიზაციის გოგონებს, პედაგოგებს ვულოცავ რვა მარტს, მრავალს დაესწარით, ბედნიერად და ჯანმრთელად. სულ ასეთი ლამაზები იყავით.

თამუნა ლურსმანაშვილი: ყველა დედას ვულოცავ ქალთა საერთაშორისო დღეს. იყვნენ ბედნიერები, ლაღები. ასევე მინდა ჩემ განსაკუთრებულ დედიკოს მივულოცო 8 მარტი. მის თვალზე ცრემლი არასდროს არ დამენახოს.

საზოგადოება ცვლილებების დაჩქარებას ითხოვს

ომარ ბაკურაძემ მოსახლეობის მფლობელობაში არსებული ბახმაროს მიწების გაფორმების შეჩერებაზე ისაუბრა, რაც პრეზიდენტის მხოლოდ სიტყვიერი განკარგულების შედეგად მოხდა. ისაუბრა ასევე ბანკების კაბალურ პირობებზე,რაც არაერთი ოჯახის ტრაგედია გახდა ქვეყანაში.

გამომსვლელთა ნაწილმა უკმაყოფილება გამოთქვა ოზურგეთში მიმდინარე საკადრო პოლიტიკის გამო. მათი თქმით,ის ადამიანები,რომლებიც წინასაარჩევნოდ ახდენდნენ მათ დატერორებას,დღეს გამოძებნეს ენა ზოგიერთ ხელმძღვანელთან და ისევ ინიშნებიან სკამებზე. ზოგი მათგანი ამის გამო კოტე ძარაშენიძეს აკრიტიკებდა და მას ვიწრო პარტიულ ინტერესებში სდებდა ბრალს,რაც არ გაიზიარა თავად კოტე შარაშენიძემ და შესაბამისი ფაქტების დასახელება მოსთხოვა მათ. მთავარია დაპირებების შესრულება. აღნიშნა მან. დარბაზში უკმაყოფილება გამოითქვა ძალოვან სტრუქტურებში მომუშავე ადამიანთა სამსახურებში გადაადგილებებსა და ხელახალ დანიშვნებზე,მათზე,რომლებიც წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდნენ. დეპუტატმა ასეთ „უნარიან“ ადამიანებს არჩევნების შემდეგ აღმოცენებულნი უწოდა და აღნიშნა, რომ, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ის პირადად არ ეთანხმება ასეთი ადამიანების სამსახურებში დანიშვნას, ან დატოვებას. მანვე გამოსატა წყენა იმის გამო, რომ შეკითხვების უმეტესობა სამსახურებში დანიშვნებს შეხებოდა.— არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ ადამიანები, რომლებიც წინასაარჩევნო პერიოდში სხვათა დაშინებებზე მუშაობდნენ და არჩევნების პერიოდში გაყალბებებზე, ისინი სამსახურებში დარჩნენ, ან დაინიშნონ. სამწუხაროდ არჩევნების შემდეგ აღმოცენებულები უფრო მეტად აქტიურობენ.მზატვარ ვახტანგ მამეშვილის თქმით, ადამიანთა დასაქმებას არა საჯარო სამსახურების რესურსი, არამედ ეკონომიკის განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა შეუწყობს ხელს. ამის პასუხად დეპუტატმა ერთ-ერთ მაგალითად ახალი სამკერვალო-საფეიქრო კომბინატის შექმნა დაასახელა ოზურგეთში,რომელიც ახლო მომავალში ამუშავდება და 900-მდე ადამიანს დასაქმებს.

„მერცხალი“ სტარტზე დამარცხდა

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში, I ლიგის გუნდებს შორის ოზურგეთის „მერცხალი“II წრის I ტურის მატჩში „ლოკომოტივს“ შეხვდა, უამინდობის გამო შეხვედრა ქ. ქობულეში, „შუქურას“სტადიონზე გაიმართა. პირველ ტაიმში ოზურგეთლები დაწინაურდნენ 1:0, მაგრამ მეორე ტაიმში „ლოკომოტივმა“4 გოლი გაუტანა „მერცხალს“და 4:1 გაიმარჯვა.

კონცერტი მუსიკალურ სკოლაში

ოზურგეთის სამუსიკო სკოლაში ქალთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა. მსმენელებს საშუალება ჰქონდათ მოესმინათ საიოლინო ნომერი. ნელი ციმინტიას ბავშვთა ანსამბლისათვის, ხოლო ნათია გორდელაძის გუნდმა მსმენელების განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

ნონა მამულაიშვილი

ჩვენი ნონა –ასე ახასიათებდა და უყვარდა ნონა მამულაიშვილი ყველას, ვინც მას იცნობდა. იგი დაიბადა 1956 წელს სოფ. ბაილეთში, შრომისმოყვარეობით და სტუმართმოყვარეობით ცნობილ ქალბატონ ლილის და ბატონ ამირან მამულაიშვილების ოჯახში, რის გამოც შრომისმოყვარეობა და სიბეჯითე თავიდანვე დაჰყვა საგზლად.

ნონა მამულაიშვილმა 1973 წელს წარმატებით დაამთავრა სოფ. ოზურგეთის საშუალო სკოლა, ხოლო 1980 წელს –ასევე წარმატებით საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტი. გარკვეული დროის განმავლობაში მუშაობდა პროფკავშირის ოზურგეთის რაიკომში ინსტრუქტორად, ხოლო 18 წლის მანძილზე იყო ბაილეთის კოლმეურნეობის პროფკავშირის კომიტეტის განთავისუფლებული თავმჯდომარე.

ქალბატონ ნონას ბავშვობიდან გაჩნდა თანდაყოლილი მუსიკალური ნიჭი. იყო ბაილეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის, მომღერალთა ანსამბლის წამყვანი წევრი – სოლისტი. უკანასკნელ პერიოდში თავის მეუღლე რეზოსა და შვილ ბექასთან ერთად ხშირად სტუმრობდა ქორწილებს და რიგ შემთხვევაში უანგაროდაც თავიანთი მომხიბვლელი ხმით ატკბობდნენ მსმენელებს. დაკავებული იყო მცირე საოჯახო ბიზნესით და იქაც კმაყოფილი ჰყავდა მომხმარებელი.

შესანიშნავი დედის, მეუღლის, შვილის, დის, რძლის, მულის, მეგობრისა და მეზობლის სახელი დიდხანს დარჩება მათ შორის, ვისაც ოდნავი ურთიერთობაც კი ჰქონია მასთან.

მეგობრები.

„თქვენ მარტო არ ხართ“

ნინო ნიკოლაიშვილი

ნარუჯის საჯარო სკოლაში სამოქალაქო კლუბ „ტოლერანტობის“ წევრებმა მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავლიდან“ მცირე ინსცენირებებით წარმოადგინეს ცხოვრებისეული, თითქმის ჩვეულებადქცეული ფაქტები, რომლებიც ბავშვთა უფლებების დარღვევებს ასახავენ.

სამოქალაქო კლუბი „ტოლერანტობა“(ხელმძღვანელი თინა ასათიანი) სკოლაში შეიქმნა სამოქალაქო განათლების და პედაგოგთა გადამზადების პროგრამით, რომლის მხარდამჭერი ორგანიზაცია გურიაში არის გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი.

პროექტი „თქვენ მარტო არ ხართ“ საქველმოქმედო ხასიათის იყო და სკოლაში მყოფი 6 განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვის მხარდასაჭერად განხორციელდა. როდის ირღვევა ბავშვთა უფლებები, ვინ არღვევს მას, უფროსები, თავად ბავშვები, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს დაუფიქრებელ ნაბიჯებს, არის თუ არა შედეგიანი სიმართლის თქმა და მხარდაჭერა– ეს თემები X, XI, XII კლასის მოსწავლეებმა თავისებური ხედვით წარმოადგინეს.

მედეა ობოლაძე, სკოლის დირექტორი: – სამოქალაქო განათლების კლუბი ჩვენს სკოლაში კარგად მუშაობს. კლუბის ხელმძღვანელს თინა მასწავლებელს ამ ბავშვებთან ერთად არაერთი საინტერესო ღონისძიება ჩაუტარებია. ჩვენ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე 6 ბავშვი გვყავს. ეს ყულაბა დიდგმება სკოლაში და ვისაც სურვილი ექნება მათი დახმარებისა, ამისი შესაძლებლობა მიეცემა.

ინგა ღუმბაძე, გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი: – ბავშვებმა კარგად წარმოადგინეს არსებული პრობლემები, ასევე კარგი იქნება, თუ ქართველი მწერლების ნაწარმოებებსაც განვიხილავთ ამ მიმართებით და თითოეული სცენის წარმოდგენის შემდეგ თავად მაყურებელს ჩავრთავთ, სად დაირღვა ბავშვთა უფლებები.

ქალთა დღეს მიეძღვნა

ოზურგეთის სახვითი ხელოვნების ცენტრ სურათების გალერეაში გამართული გამოფენა გაზაფხულის დღესასწაულებს მიეძღვნა. მწერლისა და ხელოვანის, სულიკო ლომჯარიას; დრამატურგისა და მხატვრის ლია სტურუას, სამხატვრო სკოლის მოსწავლის ნინო გორდელაძის ნამუშევრები არაერთი მნახველის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. დეკორაცია, გრაფიკა, ფერწერა, ბისერები, ნაქარგობა, მაკრამე, შერეული ტექნიკა,თექა,ყვავილთა ფოთლებისგან შექმნილი მინიატურები... მრავალფეროვანი და მრავალთემატური შემოქმედება.

გამოფენა ხელოვნებათმცოდნე ლია ურუშაძემ გახსნა და მნახველებს გააცნო წარმოდგენილ ნამუშევართა ავტორები, რომელთაგან ყველაზე პატარა ნინო გორდელაძე იუბილარი აღმოჩნდა.– ასეთი მაღალი ესთეტიკისა და სახელოვნებო ღირებულების ნამუშევრები ნებისმიერი გალერეის კედლებს დაამშვენებდა. თავდაპირველად ნინო გორდელაძეს წარმოგიდგენთ, რადგან ის ყველაზე პატარაა. ნინო ჯერ 16 წლისაა და ასაკის მიუხედავად, იმდენ წარმატებას მიაღწია, ვერ ჩამოვთვლით. ნინომ ჩვენი ქალაქი ასახელა ხელოვნების დარგში. აქ წარმოდგენილია მისი დიპლომი. მისი დამსახურებაა, რომ ჩეხეთის რესპუბლიკის ქ. ლიდიცეს საგამოფენო კატალოგში მოხსენიებულია საქართველო და მათ შორის ოზურგეთი.

ლია მოლარიშვილი, მწერალი, დრამატურგი, მხატვარი, მისი პიესები დიდგა საქართველოს სხვადასხვა ქალაქის თეატრებში. ლიას ნახატები არის ლირიული, რომანტიული, იმპრესიონისტული. წლების წინ ლიას გურიის ტელევიზიაში მიჰყავდა გადაცემათა ციკლი „პალიტრა“, რომელიც პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა.

სულიკო ლომჯარია, მწერალი, პოეტი, ხელოვანი. ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ღირსეული მოქალაქე და ქალბატონი. ბრწყინვალე ოჯახის დედა და დასახლისი, საუკეთესო შემოქმედი. არაფერს ვამბობთ მის გობელენებსა და დეკორატიულ ნამუშევრებზე, რომლებიც ასეთი ოსტატობითაა შექმნილი. დააკვირდით ყვავილების ფოთლებისგან შესრულებულ მინიატურებს. როგორი მოძრაობებია წარმოდგენილი. ქალბატონი სულიკო არა მარტო ხელოვანია, ის არის საუკეთესო წიგნების ავტორი, რომლითაც გასაოცარი გრძნობით ეფერება მშობლიურ სოფელს.

გამოფენის ღირებულებაზე ისაუბრეს და ხელოვანთ წარმატებები მოულოცეს მაია თანდილაშვილმა,მარინა ჯაფარიძემ,კახა ვასაძემ.

ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება შემდეგ თეატრში გაგრძელდა. ღონისძიება თეატრის მმართველს, მსახიობ ზაზა ჯინჭარაძეს და მომღერალ ეკა ჭელიძეს მიჰყავდა.

საჩუქრები გადაეცა მრავალშვილიან დედებს, ხათუნა დოლიძეს და ია თოიძეს; პედაგოგ მაია ღლონტს; ფერმწერსა და დრამატურგ ლია მოლარიშვილს; მომღერალ ეთერ პავლიაშვილს; პედაგოგ ლიანა იმედაშვილს; მუზეუმის თანამშრომელს დარეჯან გოგუაძეს; მუსიკის პედაგოგს დოდო კალანდაძეს; მწერალსა და ხელოვანს სულიკო ლომჯარიას; ეთერ პავლიაშვილს; ბიბლიოთეკის წამყვან სპეციალისტს ლალი ვაშალომიძეს; ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის წამყვან მსახიობს ბელა კიკვაძეს;

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: ანსამბლი „მუსამბაზი“(ხელმძღვანელი ნატალია ხომერიკი); მომღერალი ეკა ჭელიძე; ანსამბლი „ფესვები“ (ხელმძღვანელი მერაბ მორჩილაძე); კვარტეტი „ეამ“; ქორეოგრაფიული ანსამბლი „გურია“ (სამხატვრო ხელმძღვანელი კობა დუნდუა); მომღერალი ნანუკა ქარჩავა, ლია გოგოტიშვილი, რეზიკო ხომერიკი, ლალუკა ღლონტი, მარიამ ხელაძე, კვარტეტი „ჰარმონია“ (მარეხი მეკვანაძე); ანსამბლი „ზნაარი“ (მელის ნადირიძე) მაია ღლონტი, ბელა კიკვაძე. ფულადი საჩუქრები გადაეცათ 100 წელს გადაცილებულ ქალბატონებს: ეთერ მდინარაძეს, ფეოდორა სალუქვაძეს, ჟუჟუნა ჟღენტს, ჟენია ცეცხლაძეს, აშუნი მგელაძეს, ნინა ინწკირველს (106 წ), ქეთო გაბელიას, აიშე მიქელაძეს, ნაზი მათითაიშვილს. ომისა და შრომის ვეტერანებს: ნუნუ კომახიძეს, ნინა გოგრონიძეს, ქეთევან მელუას, ჟუჟუნა გორდელაძეს, ჟუჟუნა ბაბილოძეს.

სერგო (ბიჭიკო) სარიშვილი

გარდაიცვალა შინაგან საქმეთა ორგანოების ღვაწლმოსილი მუშაკი, პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი სერგო (ბიჭიკო) კონსტანტინეს ძე სარიშვილი.

იგი 1936 წელს დაიბადა ქ. ახალციხეში. მამა კონსტანტინე (ვიცეპოლკოვნილი) შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობდა და სერგოს ახალციხეში მოუწია ბავშვობის გატარება. საშუალო სკოლა იქ დაამთავრა, თბილისის საარტილერიო სასწავლებელი დასრულა და შუა აზიაში სასაზღვრო უშიშროების ნაწილში მუშაობდა. იქ ყოფნის სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საგზაო-სატრანსპორტო ფაკულტეტზე.

დამთავრა ინსტიტუტი და შრომითი საქმიანობა ქ. თბილისში დაიწყო ერთ-ერთ ქარხანაში ზეინკლად.

1961 წელს სერგო ქ. ოზურგეთში ჩამოვიდა და მამისეულ კერას დაუბრუნდა. მუშაობა დაიწყო ოზურგეთის მილიციის რაიონულ განყოფილებაში საგზაო ინსპექტორად. იმ თაობის ოზურგეთლებს კარგად ახსოვთ ავტოინსექტორთა ეს თაობა (დავით აბაშიძე, სიმონ შეწირული, სერგო სარიშვილი...), რომლებიც არა მარტო თავისი საქმის კარგი ცოდნით, არამედ თავიანთი ავტორიტეტით იყვნენ ცნობილნი.

სერგო სარიშვილი არ დაკმაყოფილდა მიღებული ცოდნით და ქ. როსტოვში მილიციის აკადემია დამთავრა. აკადემიის დამთავრების შემდეგ ოზურგეთის მილიციაში ჯერ სისხლის სამართლის განყოფილების უფროსად, შემდეგ კი მილიციის უფროსის მოადგილედ მუშაობდა.

1974 წელს სერგო სარიშვილი ქ. თბილისში, მილიციის უმაღლეს სკოლაში (ამჟამად პოლიციის აკადემიაში) მიიწვიეს სასწავლებლის კურატორად და სამართლის ლექტორად. შემდეგ, როგორც გამოცდილი და პროფესიონალი კადრი გადაიყვანეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბში; 1978 წელს დანიშნეს საქართველოს სახელმწიფო-საგზაო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, სადაც პენსიაში გასვლამდე, 20 წელი იმუშავა.

სერგო სარიშვილის სახელს უკავშირდება ქ. თბილისში საპატრული საგუშაგო სამსახურის ჩამოყალიბება და ცხენოსანი კავალერიის შექმნა. მის მიერ შექმნილმა პოლკმა დიდი როლი შეასრულა 1989 წლის 9 აპრილის ღამეს აქციის მონაწილეთა გადარჩენის საქმეში. მათ შექმნეს დერეფანი და უშუალოდ მოსკოვიდან გამოგზავნილ სადამსჯელო სპეცნაწილებთან შეჯახების საშიშროების ქვეშ შეძლეს ასეულობით ადამიანის გაყვანა, მათი გადარჩენა და მსხვერპლის შემცირება.

ამით არ ამოწურულა მისი სამშობლოსადმი თავდადება. 1990-1993 წლებში ჯერ სამაჩაბლოში, ხოლო შემდეგ აფხაზეთში იბრძოდა, რისთვისაც იგი 1995 წელს ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოეს. ამის გარდა მას არაერთი მედალი და მთავრობის სხვა ჯილდო ჰქონდა მიღებული.

თადარიგში გასვლის შემდეგ, დმანისის რაიონში ეწეოდა სამეურნეო საქმიანობას. ხოლო 7 წლის წინ მშობლიურ მხარეს დაუბრუნდა.

ცალკე თემაა მისი ბუნებისადმი ტრფიალი. „საპატიო მონადირის“ ტიტულის მფლობელი თავის კუთვნილ შვებულებას ჩრდილოეთ კავკასიაში (კრასნოდარის მხარე) და სხვა ადგილებში გამოცდილ მონადირეებთან იური სიორიდესთან, დავით ჰიდაშვილთან ერთად ატარებდა, უნგრეთის სამონადირეო მეურნეობაშიც მიიწვიეს...

რაც მთავარია, იგი იყო შესანიშნავი ოჯახის თავკაცი. მეუღლე–ქალბატონი გულნაზი, შვილები ნინო, კოტე, შესანიშნავი შვილიშვილები. სამწუხაროდ, შარშან სიძე– ზურაბ ქარცივაძე გამოაკლდა ამ ღამაზ ოჯახს.

ახლა კი იგი სამშობლოსა და ოჯახის წინაშე ვალმოხდილი გარდაიცვალა. ღმერთმა დაუმკვიდროს სასუფეველი.

მეგობრები, ახლობლები.

მეუღლე რეზო , შვილი ბექა ჩიკაშუები; მამა ამირანი, და ნანა, ძმა ნიკო მამულაიშვილები; რძალი ნაირა ლეთოდიანი; სიძე თამაზ მოსეშვილი; ძმისშვილი ამირან (ამუკა) მამულაიშვილი; დისშვილები ნინო, თათია, ვანო მოსეშვილები; მაზლი შოთა ჩიკაშუა ოჯახით ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან **ნონა ამირანის ასული მამულაიშვილი-ჩიკაშუას** გარდაცვალებას.

პანაშვიდი 12, 13 03. 17 სთ. დაკრძალვა 14. 03. 16 სთ. (გამოსვენება ქ. ოზურგეთი, სერგო ჩხაიძის ქ. №8).

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს გულნაზი, ნინო, კოტე სარიშვილებს მეუღლისა და მამის **სერგო (ბიჭიკო) სარიშვილის** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს ამირან, ნანა, ნიკო მამულაიშვილების ოჯახს, რეზო, ბექა ჩიკაშუებს **ნონა მამულაიშვილის** გარდაცვალების გამო.

ნუგზარ ასათიანი, შოთა ცხომელიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ამირან, ნანა და ნიკო მამულაიშვილების და რეზო ჩიკაშუას ოჯახებს **ნონა მამულაიშვილის** გარდაცვალების გამო.

ციცო ტუღუში, ნატო ცერცვაძე თანაუგრძნობენ მამულაიშვილების და ჩიკაშუების ოჯახებს **ნონა მამულაიშვილის** გარდაცვალების გამო.

ნინელი კალანდაძე, თემურ ქილიფთარი თანაუგრძნობენ რეზო და ბექა ჩიკაშუებს მეუღლისა და დედის **ნონა მამულაიშვილის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე